# **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

საქართველოს სახელით

*საქმე №1გ/19* *08 იანვარი 2015 წ.*

*ქ.თბილისი*

*თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე*
*ომარ ჯორბენაძემ*

*ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქ.თბილისის პროკურატურის პროკურორის ლავრენტი მაღლაკელიძის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გოგიტა თოთოსაშვილის 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინებაზე,*

## *აღწერილობითი ნაწილი:*

*თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი აწარმოებს გამოძიებას სისხლის სამართლის საქმეზე №XXXXXXXXXXX დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.*

*მასალების მიხედვით, 2014 წლის 15 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დავით სვანაძის განჩინებით დ. ყ.-ს, თ. ჩ.-ს, ი. ი.-ს და მ. ხ.-ს აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდათ -გირაო, თითოეულ მათგანს 5000 (ხუთი ათასი ) ლარის ოდენობით, რომლის გადახდის ვადად განესაზღვრათ 30 (ოცდაათი) დღე.*

*ქ.თბილისის პროკურატურის პროკურორმა ლავრენტი მაღლაკელიძემ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ყადაღის დადება ბრალდებულების დ. ყ.-ს, თ. ჩ.-ს, ი. ი.-ს და მ. ხ.-ს მიმართ შეფარდებული გირაოს თანხის უზრუნველსაყოფად, დ. ბ.-ს კუთვნილ უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. თ.-ში, დ. ლ., სოფელი პ. ლ., ფართობი 2000 00 კვ.მ. საკადასტრო კოდი XX.XX.XX.XXX. (იხ: შუამდგომლობა).*

*თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გოგიტა თოთოსაშვილის 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა.*

*აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა ქ.თბილისის პროკურატურის პროკურორმა ლავრენტი მაღლაკელიძემ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ყადაღის დადება მოქალაქე დ. ბ.-ს კუთვნილ უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. თ.-ში, დ. ლ., სოფელი პ. ლ., ფართობი 2000 00 კვ.მ. საკადასტრო კოდი XX.XX.XX.XXX. ბრალდებულების დ. ყ.-ს, თ. ჩ.-ს, ი. ი.-ს და მ. ხ.-ს მიმართ შეფარდებული გირაოს თანხის უზრუნველსაყოფად, საჩივარი დასაბუთებულია შემდეგი ძირითადი გარემოებებით:*

საქართველოს სსსკ-ის 200-ე მუხლის თანახმად,ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული გირაო, შეიძლება იყოს ფულადი თანხა ან უძრავი ქონება. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, გირაოს შეტანის წინ მის შემტანს აფრთხილებენ წერილობითი ვალდებულებით განსაზღვრული პირობის შეუსრულებლობის შედეგებზე, კერძოდ, თუ ბრალდებულმა, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად შერჩეულია გირაო, დაარღვია ამ ღონისძიების გამოყენების პირობა ან კანონი, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით, ხოლო გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში. აღნიშნულ შემთხვევაში ბრალდებულები თავს არ არიდებდნენ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაოს გადახდის ვალდებულებისაგან და მის გადახდას სასამართლოს მიერ დადგენილ 30 დღიან ვადაში აპირებდნენ, მაგრამ გირაოს თანხის შესაბამისი უძრავი ქონება მათ მიერ ზემოაღნიშნულ ვადაში ვერ იქნა მოძიებული. ასევე ბრალდების მხარის მიერ ეს გარემოება არ იქნა მიჩნეული ბრალდებულების მიმართ უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების საფუძვლად, მაშინ, როცა მსგავსი სახის შუამდგომლობის დაყენება მითითებული ნორმის თანახმად, მხოლოდ პროკურორის კომპეტენციას მიეკუთვნება (იხ.: საჩივარი).

## სამოტივაციო ნაწილი:

გაეცნო რა საჩივარს, წარმოდგენილ მასალებს, სასამართლოს მიაჩნია, რომ პროკურორის საჩივარი უსაფუძვლოა, მაგრამ ამავე დროს პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება დასაბუთებულია არა იმ საფუძვლებით რაზედაც უნდა მიეთითებინა სასამართლოს. კერძოდ:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ზოგად პრინციპეზე, საქართველოს კონსტიტუციის ზოგად პრინციპებზე, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტების ზოგად პრინციპებზე და ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრეცედენტებზე დაყრდნობით საგამოძიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ მხოლოდ სასამართლოს მიერ გირაოს გადახდისათვის (ან გირაოს უძრავი ქონებით უზრუნველყოფისათვის) დაწესებული ვადის დაღვევის მხოლოდ თვით ფაქტი არ შეიძლება გახდეს პირისათვის შეფარდებული გირაოს დაპატიმრების შეცვლის ერთადერთი და იმპერატიული საფუძველი, იმ გარემოებების გამოკვლევის გარეშე, ადგილი აქვს ბრალდებულის მიერ გირაოს თანხის შეგნებულად არგადახდას, თუ საქმე გვაქვს გირაოს თანხის ვერგადახდასთან. საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ არასწორია გასაჩივრებულ განჩინებაში მოსამართლის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200-ე მუხლის მე-5 ნაწილის იპერატიულად ისე განმარტება, რომ დადგენილ ვადაში გირაოს თანხის გადაუხდელობა იმპერატიულად ავალდებულებს პროკურორს მოითხოვოს აღკვეთის ღონისძიების დამძიმება და შესაბამისად იმპერატიულად ავალდებულებს სასამართლოს გამოიყენოს უფო მძიმე აღკვეთის ღონისძიება. ზემოთაღნიშნული საერთაშორისო და ასევე შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტები გამორიცხავენ რაიმე ცალკე აღებული პირობის არსებობას, რომელიც იმპერატუილად გამოიწვევდა პირის დაპატიმრებას.

დადგენილ ვადაში გირაოს თანხის გადაუხდელობის ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, აღკვეთის ღონისძიების დამძიმების შესახებ სასამართლოში შუამდგომლობის აღძვრამდე პროკურორი ვალდებულია გამოარკვიოს გარემოებები, თუ რამ გამოიწვია გირაოს თანხის გადაუხდელობა, სახეზეა გირაოს თანხის წინასაწარგანზრახული, შეგნებული არგადახადა, თუ ადგილი აქვს ობიექტურ მიზეზთა გამო გადახდის შეუძლებლობას. იგივე საკითხები უნდა შეაფასოს მოსამართლემ გიაროს გადაუხდელობის გამო აღკვეთის ღონისძიების დამძიმების შესახებ პროკურორის შუამდგომლობის განხილვა-გადაწყვეტისას. წინაალმდეგ შემთხვევაში გიაროს გამოყენება შეიძენს ფორმალურ ხასიათს და რეალურად სახეზე გვექნება გირაოს ფორმალური გამოყენებით ე. წ. „შეფარული პატიმრობის“

მიზნის მიღწევა, ანუ გირაოს იმ ოდენობით გამოყენება, რომელსაც ვერ გადაიხდის ბრალდებული და შეაფრულად იქნება მიღწეული მის მიმართ პატიმრობის გამოყენების მიზანი გირაოს გადაუხდელობის გამო.

მიუთითებს რა ზემოთაღნიშნულს, საგამოძიებო კოლეგია განმატავს, რომ ყველა ზემოღნიშნული საკითხის გარკვევის ვალდებულება აკისრია პირველ რიგში პროკურორს სასამართლოში შუამდგომლობის აღძრვამდე, რადგანაც სსსკ-ის მე-200 -ე მე-2 ნაწილის მიხედვით სასამართლოში შუამდგომლობის შტანისას პროკურორი მიუთითებს გირაოს თანხის ოდენობას და მისი შეატნის ვადას, რა დროსაც როგორც გირაოს თანხის ოდენობის, ასევე მისი შეტანისას ვადის განსაზღვრისას პროკურორი ვალდებულია ბრალდების სიმძიმესთან ერთად გაითავლისწინოს ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობები. არსად სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არ არსებობს ნორმა , რომელიც ადგენდეს, რომ გირაოს შეატნის ვადას განსაზღვრავს სასამართლო. რა თქმა უნდა, როდესაც სასამართლო გამოიტანს განჩინებას პროკურორის შუამდგომლობის თაობაზე და მიუთითებს მასში გირაოს თანხის ოდენობას და მისი შატანის ვადას, ეს უკვე სასამართლოს გადაწყვეტილებაა, ანუ საბოლოოდ რა თქმა უნდა სასამართლო განსაზღვრავს გირაოს ოდენობას და მისი შეატანის ვადას, მაგრამ თუკი სასამართლო არ დაეთანხმება პროკურორის ან დაცვის მხარის მოთხოვნას გირაოს თანხის ოდენობის ან მისი გადახდის ვადის შესახებ იგი (სასამართლო) ვალდებულია დაასაბუთოს თუკი გამოიყენებს გირაოს თანხის განსხვავებულ ოდენობას ან განსაზღვრავს გიაროს შეტანის სხვა ვადას, ვიდრე მოთხოვნილი იყო მხარეთა მიერ.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, იმ საკითხთა გამორკვევის გარეშე რაზედაც ზემოთ იქნა მითითებული(ანუ სწორად იყო თუ არა განსაზღვრული გირაოს ოდენობა ბრალდებულთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალიწინებით, სწორად იყო თუ არა განსაზღვული გირაოს თანხის შეტანის (ან გირაოს თანხის უძრავი ქონებით უზრუნველყოფის) ვადა, სახეზე იყო დადგენილ ვადაში გირაოს თანხის (ან გირაოს უძრავი ქონებით უზრუნველყოფის) შეგნებული, წინასწარგანზრახული არგადახდა, თუ საქმე გვაქვს ობიუქტურ მიზეზთა გამო დადგენილ ვადაში გირაოს თანხის გადახდის, ან გირაოს უძრავი ქონების უზრუნველყოფის შეუძლებლობა) საგამოძიებო კოლეგიას არასწორად მიაჩია მხოლოდ ვადის გაშვების თვით ფაქტის გამო გიაროს თანხის უზრუნველსაყოფად ქონებაზე ყადაღის დადებაზე უარის თქმა.

მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა პროკურორის შუამდგომლლობა გირაოს უზრუნველსაყოფად უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფიელებას და ასევე საჩივარიც არ ექვემდებარება დაკმაყოფიელებას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების მიხედვით, გირაოს ოდენობა ოთხივე ბრალდებულის მიმართ ერთობლივად შედაგენს 20 000 ლარს, ხოლო აუდიტის დასკვნის თანახმად გირაოს უზრუნველსყოფად გამოსაყენებლად მითითებული ქონება 20 000 აშშ დოლარამდე ღირებულებისაა. ასეთ შემთვევაში პროკურორი უფლებამოსილია და ვალდებულია მოითხოვოს ყადაღის დადება არა მთლიანად ქონებაზე, არამედ მხოლოდ გირაოს თანხის ოდენობის ნაწილში.

ასევე პროკურორი ვალდებული იყო ბრალდებულთა მიმართ გირაოს ოდენობისა და გადახდის ვადის განსზღვრისას გაეთვალისწინებინა, შეძლებდნენ თუ არა ბრალდებულები დადგენილ ვადაში დადგენილი ოდენობის თანხის გადახდას, ან მის უზრუნველყოფას შესაბამისი ღირებულების უძრავი ქონებით. ასევე დადგენილი ვადის გასვლის შემდგომ გირაოს უზრუნველსაყოფად ქოენებაზე ყადაღის დადების შესახებ შუამდგომლობის აღძვრისას შესაბამისი მტკიცებულებების (მასალების) თანდართვით პროკურორს უნდა დაესაბუთებინა, რომ სახეზე იყო ობიექტურ მიზეზთა გამო დადგენილ ვადაში გირაოს თანხის გადახდის ან გირაოს უძრავი ქონების უზრუნველყოფის შეუძლებლობა ( ანუ სახეზე იყო ვერ გადახდა, ვერ უზრუნველყოფა), და ადგილი არ ჰქონდა გირაოს თანხის შეგნებულად, წინასწარგანზრახულად არგადახდას ან შესაბამისი ურძვი ქონებით არუზრუნველყოფას.

*პროკურორის მიერ ზემოთაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მტკიცებულებების (მასალების) წარდგენის გარეშე სასამართლო არ იყო უფლებამოსილი (მოკლებული იყო შესაძლებლობას) მიეღო გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილების თაობაზე.*

*გარდა ზემოთაღნიშნულისა წარმოდგენილი მასალების, კერძოდ საქმეში არსებული სანოტარო აქტის ასლის მიხედვით ქონების მესაკუთრემ დ. ბ.-მ თანხმობა განაცხადა ბრალდებულთა მიმართ შეფარდებული გირაოს უზრუნველსაყოფად ყადაღა დასდებოდა მის კუთვნილ უძრავ ქონებას. სანოტარო აქტში დ. ბ.-სათვის არ არის განმარტებული კანონით (მათ შორის საქართველოს სსსკ-ის მე-200 მუხლით) გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.*

*საქმეში არ დევს ასევე რაიმე სხვა დოკუმენტი დ. ბ.-სათვის კანონით(მათ შორის სსსკ-ის მე-200 მუხლით) გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა განმარტების შესახებ. ქონების მესაკუთრეს არ განმარტებია ის შედეგები, რაც შესაძლოა მოჰყვეს ბრალდებულთა მიერ აღკვეთის ღონისძიების პირობების დარღვევას. სსსკ-ის მე-200 მუხლი კი იმპერატიულად ითხოვს ამ უფლება-მოვალეობათა განმარტებას, თანაც სავალდებულოდ და იმპერატიულად წერილობითი ფორმით.*

*საგამოძიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ ამ უფლება-მოვალეობათა განმარტების შესახებ დოკუმენტის არსებობის გარეშე სასამართლო უფლებამოსილი არ არის მიიღოს გადაწყვეტილება ქონებეზე ყადაღის დადების შესახებ. საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ წინასასამართლო გამოძიების ეტაპზე აღნიშნულ უფლება-მოვალეობათა წერილობითი განმარტების ვალდებულება აკისრია პროკურორას ან მისი დავალებით გამომძიებელს და პრკურორი ვალდებულია აღნიშნული წერილობითი განმარტება წარუდგინოს სასამართლოს ქონეზე ყადაღის დადებაზე შუამდგომლობასთან ერთად. საგამოძიებო კოლეგია არ გამორიცხავს სანოტრაო აქტით ამ უფლება-მოვალეობათა განმარტების შესაძლებლობას, მაგრამ არა იმ ფორმით რაც ამჯერად წარედგინა სასამართლოს, ანუ სანოტარო აქტში ნათლად, არაორაზროვნად უნდა იყოს გამოხატული არა მხოლოდ პირის თანხმობა, ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე, არამედ სრულად უნდა იყოს განმარტებული კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები და ბრალდებულთა მიერ გირაოს პირობების დარღვევის შესაძლო შედეგები.*

*ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ვინაიდან პროკურორის საჩივარი და თანდართული მასალები არ აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ ამ განჩინებაში ჩვენს მიერ ზემოთმითითებულ მოთხოვნებს, იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.*

*აქვე საგამოძიებო კოლეგია საგანგებოდ აღნიშნავს, რომ წინამდებარე განჩინება ეხება კონკრეტულ საქმეს, პროკურორის კონკრეტულ შუამდგომლობას (საჩივარს) და მის უსაფუძვლობას იმის გამო, რომ ქონების მესაკუთრეს არ განემარტა კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეოებები და არ უნდა მოხდეს წინამდებარე განჩინების ფართოდ განმარტება სხვა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელზეც გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული წინამდებარე განჩინებით.*

## *სარეზოლუციო ნაწილი:*

*სასამართლომ იხელმძღვანელა რა სსსკ-ის 151-154-ე, 156-ე, მე-200 და 207-ე მუხლებით,*

## *დაადგინა:*

*1. უარი ითქვას პროკურორის საჩივრის დაკმაყოფილებაზე წინამდებარე განჩინების სამოტივაციო ნაწილში მითითებულ გარემოებათა გამო;*

*2. განჩინება (ასლები) გაეგზავნოთ და გადაეცეთ სსსკ-ის 207-ე მუხლით გათვალისწინებულ პირებს და ორგანოებს;*

*3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.*

*თბილისის სააპელაციო სასამართლო მოსამართლე* *ომარ ჯორბენაძე*